მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

სახელმწიფო სათათბირო უმაღლესი ბრძანებით დათხოვნილია.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2—ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 27 — სამშაბათი, 11 ივლისი 1906 წ. თბილისი — № 27

სურამის სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფი დიდის მწუხარებით აუწყებს რა გარდაცვალებას უანგარო მოღვაწის ძვირფასის

**შიო ალექსის ძეს ჩიტაძის**

სთხოვენ ყველა მის პატივცემულთ მობრძანდნენ პანაშვიდზე, რომელიც გარდახდილი იქნება სამშაბათს 11 ივლის შუადღის 12 საათზედ, სურამის ადგილობრივ ეკლესიაში.

## ისტორიული დამნაშავე.

დანაშაულობა, პასუხის მგებლობა და სასჯელი დაუშორებელი არიან ერთიმეორეისაგან.

თუ პასუხის მგებლობა არ არსებობს არ არსებობდეს უნდა სასჯელიც.

საკვირველია, გულ უბრყვილობა ხალხის, როდესაც ისკმაყოფილია გაიძვერა ბურჟუაზიის და მთავრობის საკვდილით დასჯის მოსპობისათვის და ვერ ხედავს, რომ სიკვდილით დასჯა მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც ჯარი და პოლიცია მოისპობა.

რა არის დანაშაული?

თქმა, იმის, რომ დანაშაული არის ყველა ისეთი მოქმედება, რომელიც თავის ხასიათით ანტისოციალურია, მაშინ ეს იმისი თქმაა, რომ მთავრობა და მისი ემისარები, სახელმწიფო და მისი ორგანოები: მხედრობა, პოლიცია, ჯაშუშები, სამღვდელოება დამნაშავეები არიან.

თქმა იმისი, რომ „კანონის" წინაამდეგი მოქმედება დანაშაული არისო, მაშინ ეს იმისი თქმაც იქნება, რომ ყველა „კანონის" დამცველები დამნაშავეები სრისო, რადგან **თუ „კანონი" არსებობს სამყაროში, მაშინ ყველაფერი კანონიერად** უნდა იქმნას მიჩნეული, ე. ი. ყველა საქციელი „კანონის" წარმოშობი დან უნდა იქმნას აღიარებული.

თქმა იმისი, რომ **ჭეშმარიტი „კანონის"** დამრღვევი მოქმედება დანაშაულიაო, იქნება იმისი თქმა, რომ არის აგრეთვე **შემცდარი** „კანონებიც" ე. ი. **უკანონობაც**, მაგრამ მაშინ ამგვარი თქმა იქმნება მიჩვენა ამ ორ უკულმართ არსებობათა, რომლების უპირატესობას ვერ გადასწყვეტს და ვერ გაამართლებს ვერც ერთი მათგანი, რადგან ისინი უკულმართნი, წინაამდეგნი არიან და ერთი მეორეს მსაჯულად არ გამოდგებიან.

თქმა იმის, რომ რაც „კანონიერია" ის არის დანაშაული, იქმნება იმის თქმა, რომ ყველა საზიზღრობა ისტორიაში მთავრობის მიერ ჩ დენილი თვითეული და მასიური მკვლელობა, გაბატონებულთა კანიბალური ზნეობა და თავდაუჭერელი ექსპლოატაცია უმაღლესი კაცობრიული აქციაო.

თქმა ამისი, რომ რაც უკანონოა დანიშული არისო, იქმნება იმის თქმა; რომ გალილეი, დეკარტი, კეპლერი, კოპერნიკი, ლამარკი, დარვინი, სპარტაკი, ბაკუნინი, მარქსი, კრაპოტკინი რეალიუ დამნაშავეებიაო და ყველა დრო ის და სივრცის რევოლიუციები განთავისუფლებისათვის: მონების აჯანყება რომში და საბერძნეთში, გლადიატორების გმირული ბრძოლა რომის გარყვნილ საზოგადოების წინაამდეგ. რევოლიუციები ინგლისში, რევოლიუციები საფრანგეთში, გერმანიაში ავსტრიაში იტალიაში და რუსეთში დანაშაულობათა ეპოქაა.

თქმა მისი, რომ ქურდობა, სხვისი ნაშრომის მითვისება დანაშაულიაო, იქნება იმის თქმა, რომ ის მოწესრიგებული ქურდობა (организованное воровство), რომელსაც კერძო საკუთრება ჰქვია დანაშაულობაა.

თქმა ეიმისი, რომ, მკვლელობა დანაშაულიაო, იქნება იმისი თქმა, რომ დამნაშავეა მთავრობა რომლის ბრძანებით იხოცებოდა და, იხოცება ურიცხვი ხალხი, დამნაშავეა ბურჟუაზია და ეკონომიურად გაბატონებული კლასები, რომლების იძულებით ნელ-ნელა, ინკვიზიტორულად, დროზე უფრო ადრე იხოცებოდა და იხოცება უთვალავი მუშა ხალხი.

თქმა იმისი, რომ უკანონობა, ქურდობა, მკვლელობა, საკუთრება, სხვისი ნაშრომის მითვისება, ძალმომრეობა დანაშაულებააო, იქმნება იმის თქმა, რომ მთავრობა ყოველგვარი და მაშასადამე სოც.-დემოკრატიაც დამნაშავე არიან, რადგან ერთსაც და მეორესაც სწამსთ, რომ კანონი სხვისთვის, არსებობს, არის დაწერილი და მათთვინ კი არა, რადგან ერთსაც და მეორესაც სწამთ, რომ ქურდობა სხვისათვის აკრძალული იყო და მისთვის კი არა; რადგან ერთსაც და მეორესაც სწამთ, რომ მკვლელობა (организованное убійство, терроръ) სხვისთვის არის აკრძალული და მათთვის კი არა; რადგან ერთსაც (სახელმწიფოსაც) და მეორესაც სახელმწიფოებრივობის მომხრე სწამთ, რომ კერძო საკუთრება სხვისთვის აკრძალულია და მათთვის კი არა. (ჩვენ კი არც ჩვენთვის გვრწამს და არც სხვისთვის).

მაშასადამე დანაშაულობა, როგორც დღემდე ჰქონდათ მიჩნეული იყო ერთ და იმავე დროს, **მაგრამ სხვა და სხვა** ადამიანის **თვალში** დანაშაულიც და დაუნაშაულობაც ე. ი დანაშაულობა არ იყო შეგნებული, ის იყო შეგნებული, დიალექტიკურად, ე. ი. არ იყო შეგნებული, წარმოდგენა მასზე უდაპლესი პსიხიური, დიალექტიკური მომენტი იყო.

ჩვენთვის **დანაშაულობაა** ყველა ისეთი მოქმედება*) რომელიც **არღვევს თავისუფლებას**, იმ თავისუფლებას, რომელიც შეადგენს პიროვნების განვითარებისას, არსებობისას, ურომლოდაც არავითარი კულტურა, პროგრესი, არსებობა არც ინდივიდუალური და არც საზოგადოებრივი არ არის შესაძლებელი.

მაშასადამე თუ დანაშაულობა თავისუფლების შეზღუდვაა, თუ დანაშაულობა უარის ყოფაა თავისუფლებისა. ურომლისოდაც არავითარი პროგრესი არ არის შესაძლებელი მაშინ ცხადია ვინც ბრძანდებიან დამნაშავენი.

დამნაშავეა მაშინ **მთავრობა, სახელმწიფო**, რომლების მთელი **წარსული და დღევანდელი ისტორია წარმოადგენს განუწყვეტელ დანაშაულობათა ისტორიას.**

დამნაშავეა მთავრობა რომელიც ყოველთვის და ყოველგან წარმოადგენდა იძულებას, ყოვლად სამარცხვინო ძალმომრეობას და ჩაგვრას, რომელიც ხელს უშლიდა თავისუფალ ბუნებრივ კავშირს ადამიანებისას და ამავე დროს ხელს უწყობდა ადამიანთა მიერ ერთიმეორის ჟლეტა ხოცვას, რომელსაც ის მეთაურობდა და განსაკუთრებით ეწეოდენ.

დამნაშავეა მთავრობა, რომელიც ცდილობდა მუდამ არავის არ ეხმარა ძალა მოძალის წინაამდეგ და თვით კი მთელი თავისი არსებით განხორციელებულ ძალადობას წარმოადგენდა.

დამნაშავეა სახელმწიფო, მთავრობა რომელიც ყოველგან და ყოველთვის წარმოადგენდა პიროვნების და საზოგადოებრივობის მტარვალს, პარაზიტს, რომელიც სცხოვრობდა არა თავის თავისუფლებით არამედ თავისი უსაზღვრო სიმხეცით და სხვისი თავისუფლების მოკვლით, მოსპობით. **მთავრობა თავისუფლების ისტორიული მკვლელია.**

დამნაშავე სახელმწიფო და მთავრობა რომელიც უკრძალავდა სხვას ქურდობას და თვით იყო და არის **უდიდესი ისტორიული ქურდი** პოლიტიკური თავისუფლებისა, რომელიც მოჰპარა საზოგადოებას და ამნაპ რევის შესარჩენად და გასაადვილებლად არ ზოგვიდა შემდეგ არავითარ მხეცურ საშუალებას.

დამნაშავეა სახელმწიფო და მთავრობა, რომელიც წარმოადგენს **უდიდეს ისტორიულ მკვლელს**, მკვლელს, რომელიც ცდილობდა გაეჟლიტა ყველა მებრძოლი გარდა იმათისა ვინც მის სასარგებლოდ ეწევოდა მკვლელობას, რათა ამ გვარად გაედიდებინა და გაემრავ-

*) ჩვენ ვეცდებით, როდესაც შემთხვევა გვექნება დავამტკიცოთ სხვა შესაფერ ადგილას ეს ჩვენი აზრი.

ლებინა თავისი ჯარი მკვლელებისა.

დამნაშავეა სახელმწიფო და მთავრობა, რომელიც „კანონის“ საშვალებით სდევნის სხვის უკანონობას, მაშინ როდესაც თვით იყო და არის განხორციელებული **„უდიდესი ისტორიული თვითნებობა“** იმით, რომ ის არის პირდაპირი უარყოფა სოციალური **ბუნებრივი** შერჩევის, **ცვალებად** ინდივიდუალური ბუნების, ყოველ გვარი ბუნებრივობის გარდა თავისი საკუთარისა.

დამნაშავეა მთავრობა, რომელიც ყოველთვის და ყოველგან იყო აზროვნების და თაოსნობის უარყოფელი, მკვლელი, როდესაც საქმე სხვას შეეხებოდა და თავისთვის კი აღიარებდა სრულ თავისუფლებას ყოვლად და ყველა სამარცხვინო აზრებისას და ყოვლად მხეცურ და არა წმინდა საქმეების თაოსნობისას; ის **ისტორიული ინიციატორია ყველა საძაგლობისა.**

დამნაშავეა ყველა ეკონომიურად მცარცველი კლასსი, რადგან ის არის უარმყოფელი მცარცველობისა სხვისთვის და თვით კი უდიდესი მცარცველია — **ისტორიული ქურდია,** ქურდობის მონოპოლისტია „კანონის“ საშვალებით.

დამნაშავეა ყველა ეკონომიურად გაბატონებული კლასი, რადგან სისხლი, რომელიც მოძრაობს ეკონომიურ მცარცველთა ძარღვებში უმეტეს ნაწილად შეძენილია დაჩაგრულების სისხლის ხარჯზე, სიცოცხლის სიგრძე ეკონომიურ მცარცველებისა პირდაპირი ნაყოფია მწარმოებლების და დაჩაგრულების ხანმოკლეობით, დროზე ადრე, უდროვოდ სიკვდილით, მაშასადამე ეკონომიურად გაბატონებული კლასი, **ბურჟუაზია ისტორიული მკვლელია.**

დამნაშავეა ეკონომიურად გაბატონებული კლასი, რადგან მუდამ ზნეობაზე მოლაპარაკე, სხვისი უზნეობის უარის მყოფელი თვით არის წყარო ყოვლად უზნეობისა, **გასასყიდ ზნეობის** კლასი, მაშასადამე ის **ისტორიულად გარყვნილია.**

დამნაშავეა სარწმუნოება და სასულიერო წოდება, რადგან პირველი, როდესაც რწმუნება, უარყოფაა აზროვნების, მეორე უარმყოფელია მოაზრე, ადამიანების, მაშასადამე პირველი თავისი დოგმატებით, მეორე ამ დოგმატების ასრულების დავალებით არიან ერთი აზროვნების **ისტორიული მტერი და მკვლელი,** მეორე კი მოაზრე ადამიანთა **ისტორიულად დამამახინჯებელი.**

დამნაშავეა მარქსიზმი, რადგან დანგრეულ რელიგიურ დოგმატთა, თეოლოგიის მაგიერ დაამყარა უფრო საშიში სოციალური დოგმატები და თეოლოგია, მაშასადამე დამნაშავეა სოციალიზმის ისტორიაში მარქსიზმი, ის **აზროვნების მკვლელია სოციალიზმის ისტორიაში.**

დამნაშივეა სოც.-დემოკრატია, რადგან სოციალიზმის მაგიერ, იმ სოციალიზმის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივია, რომელიც დამყარებულია თავისუფალ შესაზოგადოებაზე, თანხმობაზე, აჩეჩებს ხელში სოციალიზმისთვის მებრძოლთ სახელმწიფოებრივ სოციალიზმს, სახელმწიფოებრივს, რომელიც უარყოფაა საზოგადოებრივობისა (соціал.-демократія является подложнымъ соціализмомъ на томъ же основаніи, на какомъ монархъ или буржуазія являются подложнымъ отцомъ угнетеннаго класса); მაშასადამე სოციალ.-დემოკრატია **სოციალიზმის ისტორიაში ყალბია** იმ გვარადვე, როგორც რომელიმე ხელმწიფე ან ბურჟუაზია ყალბი მამაა ხალხისა; ის **სოციალიზმის** подмѣнъ-**ია სოციალიზმის ისტორიული ქურდია.**

დამნაშავეა სოცია-დემოკრატია, რადგან ის მარქსიზმის სოციალური თეოლოგიის დოგმატების განხორციელებელი სოციალური კლერიკალიზმია და მაშასადამე ნამდვილი ბოიკოტისტი და მღვდელი **თავისუფალი სოციალისტური** აზროვნებისა; **ის ისტორიულად სოციალისტური აზრორნების მკვლელია.**

დამნაშავეა სოციალ-დემოკრატია, რადგან ის ცენტრალიზაციის მომხრეა, ცენტრალიზმის, რომელიც ნამდვილი პოლიტიკური პროლეტარიზაცია მასსის ცენტრის სასარგებლოდ, ის არის ადამიანის, ინდივიდის, ხალხის პოლიტიკური უფლებების მცარველი, რომელსაც უნდა კაცი, animal politique გადააქციოს animal producteur et consimmateur; **ის ისტორიულად სოციალიზმის პოლიტიკური მცარცველია.**

საზოგადოთ მთავრობა ყველა დროის და სივრცის, ეკონომიურად გაბატონებული კლასსი არიან პოლიტიკური, ზნეობრივი და ეკონომიური მკვლელი, მცარცველი ქურდი და გამრყვნელი **მთავრობა და ბურჟუაზია ისტორიული დამნაშავეები არიან.**

თეოლოგია და მარქიზმი, კლერიკალიზმი და სოციალ-დემოკრატია არიან თავისუფალი აზროვნების მკვლელები; სარწმუნოება, როგორც დოგმატთა ბრმა რწმენა უკიდურესი ბოიკოტია თავისუფალი აზროვნებისა; მარქსიზმი, როგორც სოციალური დოგმატთა ბრმა რწმენა, ნამდვილი ბოიკოტია თავისუფალ სოციალისტურ აზროვნებისა.

რელიგია „პოდლოგია მეცნიერების, სოციალ დემოკრატია პოდლოგია სოციალიზმის.

რელიგია წინაამდეგია ბუნებრივის, ადამიანის ბუნების გამრყვნელია.

სოც.-დემოკრატია ანტირევოლიუციონურია, გამრყნელია რევოლიუციის.

პირველი ადამიანის ბუნებას მთავრესად ეკლესიაში რყვნის, მეორე რევოლიუციას პარლამენტში რყვნის.

თეოლოგია და მარქსიზმი, კლერიკალიზმი და **მეოთხე სახელმწიფო**— სოციალ-დემოკრატია არიან გონებრივი, ეკონომიური და ზნეობრივი მკვლელობა, მცარცველობა, ქურდობა და გარყვნილება.

**ისინი ისტორიული დამნაშავენი არიან.**

საშინელია სასჯელისათვის მთავრობის იარაღები.

საშინელია სარწმუნოების იარაღები სასჯელისათვის.

სასტიკია ინკვიზიცია და სასჯელი იარაღი ბურჟუაზიისა.

# ფელეტონი

—

## თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინის).

II

მაშ, თუ ანარქიზმი, როგორც ყოველი სხვა რევოლიუციონური მიმართულება, დაიბადა ხალხში-ბრძოლაში, და არა მეცნიერების კაბინეტში. საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორი ადგილი უჭირავს მის აზრის ეხლანდელ სხვა და სხვა მეცნიერულ და ფილოსოფიურ მსვლელობათა შორის; რომელს მათგანს ის ემყარება უმთავრესად; რომელი მეთოდით სარგებლობს ის, რომ დაასაბუთოს და განამტკიცოს თავისი დასკვნები? სხვანაირათ რომ ვსთქვათ—უფლების ფილოსოფიის რომელ სკოლას ეკუთვნის ის, და რომელ მიმართულებასთან აქვს უფრო მეტი ნათესაობა თანამედროვე მეცნიერებაში?

რუსეთის ახალგაზდობისათვის, რომელიც უზომოდ გატაცებული იყო უკანასკნელ ხანებში ეკონომიური მეტაფიზიკით, ასეთს კითხვას, ალბად, ექნება რაიმე ინტერესი, და მეც ვეცდები, რაც ძალი და ღონე მაქვს, პასუხი ვაგო მაზედ—მოკლედ და ნათლად, და შეძლების დაგვარად, ვეცდები ვერიდო ბრძნულ სიტყვებს იქ, სადაც მათი თავიდან აცილება შესაძლებელია.

ჩვენი საუკუნის გონებრივი მოძრაობა იწყება მეტერთმეტე საუკუნის საშუალო და უკანასკნელ ხანებში შოტლანდიელ და ფრანგ ფილოსოფოსებისაგან. მაშინ დაწყებულმა აზრის საყოველთაო აღფრთოვანებამ ჩაუნერგა ამ მოაზრეთ სურვილი, რომ კაცობრიობის ყოველი ცოდნა ჩამოესხათ ერთ საზოგადო სისტემაში. კრეს თუ არა პანდური მანამდე გამეფებულს საშუალო საუკუნოების სქოლასტიკას და მეტაფიზიკას, მათ გადასწყვიტეს ისე შეეხედნათ ბუნებისათვის,—ვარსკვლავთა ქვეყანა, ჩვენი მზის სისტემის და ჩვენი პლანეტის ცხოვრება, ცხოველთა სამეფოს და ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარება,—როგორც მოვლენებისათვის, რომლებიც გამოკვლეული უნდა ყოფილიყვნენ ბუნებრივ-მეცნიერული გზით.

რაკი ფართოთ სარგებლობდენ ჭეშმარიტ-მეცნიერული ინდუქტივურ-დედუქტივური მეთოდით. მოვლენათა ყოველგვარ ჯგუფებს,—იქნებოდა ის ვარსკვლავთა სამყაროდან, ცხოველთა სამეფოდან, თუ ადამიანის მორწმუნეობათა და დაწესებულებათა სამფლობელოდან,—ისინი ისე სწავლობდენ, როგორც ბუნებისმეტყველი რაიმე ფიზიკურ საკითხს. ისინი გულდასმით სწავლობდენ მოვლენებს და თავის ზოგად აზრებს (обобщенія) აშენებდენ ინდუქციის მეოხებით. დედუქტივური გზით ისინი მიდიოდენ ზოგიერთ მოსაზრებამდის (ჰიპოთეზა), მაგრამ ამ ჰიპოთეზებს ისინი ისე უყურებდენ, როგორც უყურებ და, მაგალითად, დარვინი თავის მოსაზრებას არსებობისთვის ბრძოლის საშუალებით ახალ სახეების (видъ) განმტკიცების შესახებ, ან და როგორც მენდელეევი უყურებს თავის „პერიოდულ კანონს“. ისინი მათში ხედავდენ მოსაზრებებს, რომლებიც ვარგოდენ ფაქტების საკლასიფიკაციოთ და მათ სამერმისო შესასწავლათ! მაგრამ, მათი ფიქრით, ისინი შემოწმებული უნდა ყოფილიყვნენ ინდუქტივური მეთოდით და კანონებათ (დამტკიცებულ ზოგად აზრებათ) შეიქმნებოდენ მხოლოთ მაშინ, როცა ისინი გაუძლებენ ამ კრიტიკას (შემოწმებას) და მას შემდეგ, როცა გამორკვეული იქმნებოდენ კანონის მწყობრი მსვლელობის მიზეზები.

როცა ფილოსოფიური მოძრაობის ცენტრი გადავიდა შოტლანდიიდან და ინგლისიდან საფრანგეთში, ფრანგ. ფილოსოფოსებმა მწყობრობის (стройность) ნიშნობლივი გრძნობით ხელი მიჰყვეს კაცობრიობის ყველა ცოდნათა—ბუნებრივ—მეცნიერულ, ისტორიულ ცოდნათა — სისტემატიურ გადაკეთებას იმავე საფუძვლებზე. აქედან დაიბადა ცდა, რომ აეგოთ საზოგადოებრივი შენობა—ფილოსოფია-მსოფლიოსი და მთელი მისი ცხოვრებისა მწყობრი მეცნიერული ფორმით, მოეშორებინათ ყოველგვარი მეტაფიზიკური შენობანი და აეხსნათ ყველა მოვლენები იმავე ფიზიკურ, ესე იგი მექანიკურ ძალთა მოქმედებით, რაიც საკმაო იყო დედამიწის წარმოშობისა და განვითარების ასახსნელათ.

ამბობენ, როცა ნაპოლეონ პირველმა შენიშნა ლაპლასს, რატომ მის „ქვეყნის სისტემაში“ არსად არ არის

პირველი არსებობა და სულის ...ქმა გამოიხატება, სახრჩობელათი, ...საპყრობილით, ცოცხალი ადამიანის ტვიის ტომრად გადაქცევით— ...ხერეტით, მეორე ის ბუნებას შე...ვენს ტყუილი, გონების დაბნე...ლება, რელიგიოზური ტერორი...ზისამე ის მიუცილებელი თვისება შეს...ლება ქარხანა-ფაბრიკების ინკვიზი...ციაში, განრყნილებათ ბუნების დაარ...ღვევაში, სიმშილით სიკვდილში და ...სხვა უმსგავსოებაში.

საშინელია სოც.-დემოკრატიის ...არაღი იდეოლოგიურ, პოლიტი...კურ და სოციალურ ბრძოლაში. ...მის გონებრივ იარაღს წარმოადგენს ...რელიგიური დოგმატები — ბოიკო...ტი აზროვნების წინააღმდეგ, კლე...რიკალური ტყუილი და ცილის წა...მების გავრცელება მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ.

სუსტი და ჰავნებელი სოც.-დემოკრატიის იარაღი — პარლამენტარი...ზმი, რეფორმიზმი — **სოციალური რევოლიუციის** მოსახდენად; საშინელია მისი იარაღი **სახელმწიფო** — ...სოციალიზმის დასამახინჯებლათ და **დიქტატურა** სოციალური **თავისუფლების დასამყარებლად.**

...ბურჟუაზია არის არსებული საზო...გადოების ბატონი — სახელმწიფო ...ა საზოგადოების ჯალათი, ორივე ...ღვთის და ღვთის მინისტრებისაგან ...კურთხეული არიან.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი — მარქსისტული, „მეცნიერული სოციალიზმი“ არის კლერიკალური ...სამოთხე სოციალიზმის სახელით მო...ნათლული, ამგვარი „სოციალიზმი“ ...უტოპიაა იმ გვარადვე, როგორც ...მღვდლების „სამოთხე; სოც.-დემოკრატია — **მეორე სახელმწიფო**— ჯალათია სოციალიზმისა.

საშიშარია ყველანი, საშიშარია მათი რეაქციონური იარაღები სოციალიზმის და თავისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ კიდევ უფრო საშიშარია მათთვის ლოზუნგი **თავისუფლება — ანარქია** და თავისუფლებისათვის მებრძოლთა იარაღი **სოციალისტური რევოლიუცია.**

I. La Flamme.

---

# ახალი ამბავი

უსაქმოთ დარჩენილთა ინტელიგენტების ბიურო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ყველა, რომელნიც ჩაეწერენ ქალაქის სამხედრო ბეგარის ასაწერად, გამოცხადდნენ 11 ივლისს ქალაქის საბჭოში დილის 9 საათზე, რომ მიიღონ სამუშაო ბლანკები. ამავე მაზნით უწოდებენ სანიტარებს პირველს საათზე. მხოლოდ ვინც კანცელარიაში, არიან არჩეულნი მათ სთხოვენ ნუ გამოცხადდებიან.

— ახლათ ჩაწერა უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა და განცხადების შეტანა მიიღება პუშკინის სასწავლებელში ორბელიანის ქუჩაზე დილის 9 საათ.—1 საათამდე.

— 9 ივლისს, ყორღანოვის ქუჩაზე თავის სახლში მოუკლავთ დეისტ. სტატსკი სოვეტნიკი რჩეულოვი. ვისგან ან რისთვისაა მკვლელობა ჩადენილი ჯერ არ გამოუკვლევიათ. მკვლელობის დროს სახლში არავინ ყოფილა, როდესაც სახლში მობრძანებულან ნათესავები, მკვდარი უპოვნიათ ოთახში. ნივთები ხელუხლებელი აღმოჩნდა.

— როგორც შევიტყეთ 8 ივნისს „რასიის“ სასტუმროში დაატუსაღეს მსახური ბოხიაშვილი. მასთან დაუპატიმრებიათ კიდევ სამი კაცი რომელთა გვარები ჯერ-ვერ შევიტყვეთ. მიზეზები დატუსაღებისა არ იციან.

— 8 ივლისს განთავისუფლეს 4 ივლისს უბედურების დროს დაპატიმრებული ნაცემი და დაჭრილი გ. ლონტი რომელსაც ჭრილობები დღესაც არ მორჩენია, ს. გორგაძე და აბულაძე უკანასკნელი მძიმეთ დაჭრილია და ჯერ ისევ საავადმყოფოში წევს.

— 9 ივლისს ქალაქის საბჭოს დარბაზში წაიკითხა ლექცია ექიმმა ა. ი. ხატისოვმა, შესახებ მომავალი სანიტარულათ ქალაქის აწერისა. ხატისოვმა კარგათ დაახასიათა მნიშვნელობა ასეთი აწერისა და უჩვენა გეგმა როგორ უნდა სწარმოებდეს სანიტარული აწერა რომ შედეგები სასურველი დარჩეს. ქალაქის სანიტარული ასაწერი ბლანკები გადმოღებული აქვთ რუსეთის ქალაქებიდან.

---

## შიო ჩიტაძის დაკრძალვა.

8 ივლისს, დილის 10 საათისთვის, მუსხელიშვილის სადგომთან, სადაც ესვენა განსვენებული შიო, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. მე-11 საათი არ იყო ჯერ დაწყებული, რომ უდანაშაულო მსხვერპლი შიო, გამოასვენეს. შიოს გამოსვენებას აუარებელი ხალხი დაესწრო. ამ გამოსვენებას (პროცესიას) წინ გვირგვინებით, მწყობრად მიუძღოდნენ: სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფენი და პატივისმცემელნი, რომელთაც უკან მისდევდნენ და მიჰქონდათ. ორი მგალობელთა გუნდი; სამღვდელოება, კუბო, რომელიც მთლად ყვავილებით იყო სავსე; აუარებელი პატივისმცემელნი (ხალხი), რომლის რაოდენობა სასაფლაომდე თანდათან იზრდებოდა და დატვირთული გვირგვინებით ბალდახინი. ეს პროცესია მიხეილის, ქუჩაზე მიხ.-საავადმყოფოს ალაყაფის კარების წინ გადახდილ იყო მიცვალ. ლოცვა (ლიტ.) და შემდეგ რეუტოვის ქუჩებით გაემართა სასაფლაოსაკენ. გზა და გზა, ნიშნად მიცვალებულის პატივისცემისა, დუქნები და მაღაზიები იკეტებოდნენ. კუბოს სასაფლაომდე, ნელის ნაბიჯით, მიასვენებდნენ ხელით. წესიერებას იცავდა მიცვალებულისადმი პატივისცემა და არა ამორჩეული პირები, როგორც გაიძახის ერთი ადგილობრივ რუსულ გაზეთთაგანი. ასე მე-12 საათი იქნებოდა, რომ განსვენებული შიო შეასვენეს ეკლესიაში. ეკლესიაში შესვენების უმალ ეკლესიის კიბიდან ორმა უცნობებმა გადიღეს შიოს სურათი. წირვის და პანაშვიდის გადახდის შემდეგ, მიცვალებული გამოასვენეს და იქვე, ეკლესიის კიბის წინ დაასვენეს. ეკლესიის კიბიდან, მოისმა მგრძნობიარე სიტყვები 5—6 ორატორისა, რომელთ შორის მხოლოდ ბ.ბ. გუნიამ და ჯანდიერმა დაასურათა განსვენებულის იდეალი, ცხოვრება და მოღვაწეობა. დიახ, გუნიას თქმისა არ იყოს, იგი (შიო) იყო იდეალისტი და მასთანავე მომხრე, ხალხის განთავისუფლებასთან ერთად, თითოეული პიროვნების, ინ-

---

...ღმერთი ნახსენებიო, ლაპლასმა უპა...სუხა: „მე არ მესაჭიროებოდა ასე...თი ჰიპოტეზა“-ო. მაგრამ ლაპლასს ...არ ესაჭიროებოდა არა მარტო ეს ...მოსაზრება, მას არ უგრძვნია საჭი...როება აგრეთვე იმაში, რომ სადმე ...ხმარა მეტაფიზიკური სიტყვები, ...რომლებს უკან იმალება მოვლენა...თა ბუნდოვანი გაუგებრობა და უუ...ნარობა წარმოადგინო ისინი კონ...კრეტულ, ნივთიერ ფორმაში. გა...საზომავ სიდიდეთა სახით (въ видѣ измѣримыхъ величинъ). მას არ ...ესაჭირებია მეტაფიზიკა. და თუმცა ...მის „ქვეყნის სისტემაში“ არ არის ...მეტაფიზიკური არშიები, და დაწე...რილია ის ისე მარტივათ, რომ ხელ...მისაწვდომია ყოველი განათლებული ...მკითხველისთვის,—მათემატიკოსებმა ...შემდეგში შესძლეს გამოეხატათ ამ ...წიგნის თვითოეული აზრი სწორ ...მათემატიკურ ოდნობათა სახით,— ...ე. ი. გასაზომავ სიდიდეთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. ასე სწორათ და ფრთხილათ აზროვნობდა ...და ხატავდა თავის აზრებს ლაპლა...სი.

...სწორედ ასე მოიქცნენ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსნი სასულიერო ქვეყნის მოვლენებსაც. იმათ ნაწერებში ვერსად ვერ შეხვდებით ისეთ მეტაფიზიკურ მტკიცებას, რომელსაც ვხვდებით ჩვენ კანტის თხზულებებში. კანტი, როგორც ვიცით, ხსნიდა ადამიანის ზნეობრივ გრძნობას „კატეგორიულ იმპერატივით, რომელსაც შეუძლია გაჰდეს საყოველთაო კანონათ“. მაგრამ აქ ყოველი სიტყვა შეიცავს რაღაც ბუნდოვანს გაუგებარ წარმოდგენას (იმპერატივი, კატეგორიული, კანონი, საყოველთაო), იმ ნივთიერ ფაქტის მაგივრათ, რომლის ახსნაა საჭირო. ფრანგი ენციკლოპედისტები კი, ისე როგორც მათი ინგლისელი წინამორბედნი, როცა სცდილობდნენ აეხსნათ, თუ საიდან იბადება ადამიანში წარმოდგენა კეთილისა და ბოროტის შესახებ, არ ხმარობდნენ „სიტყვას იქ, სადაც წარმოდგენანი (понятія) ცუდობენ“, როგორც სთქვა გეტემ. ისინი იღებდენ ადამიანს,—ცოცხალს, როგორიც არის ის. ისინი სწავლობდენ მას და ნახულობდენ, როგორც ეს ქნა ღეტჩესონმა (1725 წ.) და შემდეგ ადამ სმიტმა თავისს საუკეთესო თხზულებაში, „ზნეობის წარმოშობაზე“, — რომ ზნეობრივი წარმოდგენები ვითარდებოდენ ადამიანში სიბრალულის (სიმპატიის) გრძნობისგან, იმისაგან, რომ ადამიანები ადარებენ (აიგივებენ) სხვებს თავის თავს, იმისაგან, რომ ჩვენ თითქმის ტკივილებს ვგრძნობთ, როცა ჩვენს თვალწინ სცემენ ბავშვს და გვაშფოთებს ეს. ყველას მიერ ცნობილ ფაქტებზე ასე მარტივ დაკვირვებათაგან ისინი თანდათან უახლოვდებოდენ თვით უუფართოეს ზოგად აზრებს. ამნაირათ, ისინი მართლა ხსნიდენ რთულ ზნეობრივ გრძნობას უფრო სადა და მარტივი ფაქტებით, და ზნეობრივ გრძნობის გასაგებ და ჩვენ მიერ ცნობილ ფაქტების მაგივრათ ისინი არ ხმარობდენ გაუგებარს, ბუნდოვანს და არაფრის არ ამხსნელ სიტყვებს, როგორიცაა, მაგალ., „კატეგორიული იმპერატივი“, ანუ „საყოველთაო კანონი ამ გვარ მეთოდის სარგებლობა ცხადია. „ზეშთაგონების“ და ზნეობის კაცს-გარეშე სასწაულებრივ წარმოშობის მაგივრათ ჩნდებოდა ადამიანის მიერ გამოცდილებისაგან გამოტანილი გრძნობა სიმპატიისა, სიბრალულისა, გაუმჯობესებული შემდეგში საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მერმინდელი დაკვირვებით.

როცა გადიოდენ ვარსკვლავთა ქვეყნიდან და ფიზიკურ მოვლენათაგან ქიმიურ ცვლილება-გარდაქმნათა ქვეყანაზე, ანუ ფიზიკისა და ქიმიისაგან—მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებაზე და შემდეგ ხაერთო ცხოვრების და რელიგიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ფორმების განვითარებაზე.—მეთვრამეტე საუკუნის მოაზრენი არ იცვლიდენ კვლევა-ძიების თავის მეთოდს. ცოდნის ყოველგვარ დარგში ისინი ხმარობდენ იმავე ინდუქტიურ მეთოდს, და რადგანაც, ზნეობრივ წარმოდგენათა სამფლობელოშიაც კი,—ვერ ნახულობდენ ისინი ისეთ წერტილს, სადაც ეს მეთოდი უნიადაგო გამხდარიყოს, და სადაც ძალა უნებურათ უნდა მიემართნათ ან მეტაფიზიკურ წარმოდგენებისათვის (ღმერთი, უკვდავი სული, სასიცოცხლო ძალა, კატეგორიული იმპერატივი, მაღლით გადმონაბერი და სხვა ამგვარი), ან და ინდუქტიური მეთოდის სხვა რომელიმე სქოლასტიკური მეთოდის შეცვლისთვის,— ისინი ძსოფლიოს, მთელი მისი ცხოვრების ახსნას ცდილობდენ იმავე ბუნებრივ მეცნიერული გზით. ენციკლოპედის-

დიდუმის განთავისუფლებისაც და არა მოაზრე ან მომხრე მარტო მასსას, ხალხის განთავისუფლებისა, რაც ვითომ შენიშნა **დიდებულმა სოციალდემოკრატიის იდეალისტმა** უკანასკნელმა ორატორმა. დიახ, ბ-ნო იდეალისტო, მიუხედავად იმისა, რომ ის ირიცხებოდა პოლიტიკურ პარტიის საუკეთესო წევრად, მაგრამ ის მაინც იყო ნამდვილი იდეალისტი და მასთანვე უკიდურესი ინდივიდუალისტიც. მე-6 ორატორმა რომ დაიწყო ლაპარაკი, შხაპუნა წვიმაც მოვიდა რამაც რა თქმა უნდა, ხელი შეუშალა სიტყვების წარმოთქმას და რის გამოისობითაც დააჩქარეს მიცვალებულის დაკრძალვა. ასე რომ სამ საათზე ჩვენი ძვირფასი შიო მიწაში იყო ჩაფლული.

როგორც ზევითაც ვსთქვით, შიოს გამოსვენების პროცესიას ამშვენებდა ფერად-ფერადი, რიცხვით 60-ზე მეტი გვირგვინი. სხვათა შორის გვირგვინები იყო: 1. შრომის, 2. სიმართლის, 3. ვოზროჟდენიის, 4. ივერიის, 5. ჩენომორსკი ვესტნიკის, 6. მუშის და ნობათის რედაქციებისაგან, 7. სოციალ-ფედრ., 8. სოც-რევოლ., 9. ქართ.-დემოკრ. პარტიებისაგან, 10. სოც-ფედ. მუშათა ჯგუფისაგან, 11. სოც-დემ. პირველ რაიონისაგან, 12. სოც-რევ. კავკ. მებრძ. ორგანიზაციისაგან, 13. ზემო გომის სოც-დემ., 14. გორის სოც-ფედ., 15. ბათუმის სოც-ფედ., 16. ფოთის სოც-ფედ., 17 გორის მაზრის გლეხებისაგან, 18. გორის ინტელიგენტებისაგან, 19 ხაშურის საზოგადოებისაგან, 20. გიმნაზიის გამგე კომიტეტისაგან, 21. ქართველ ქალთაგან, 22. თანამგრძნობ ახალგაზდათაგან, 23. შიოს ამხანაგებისაგან, 24. ქართულ დრამატ. საზოგადოებისაგან, 25. სათავად-აზნაურო გიმნაზიის თანამშრომელ ამხანაგებისაგან. 26. სურამის საზოგადოებისაგან, 27. მოსამსახურეთა კავშირისაგან, 28. მოწაფეთა ჯარი დედებისაგან, 29. „გაზეთის“ ამხანაგობისაგან, 30. თამამშევის ქარვასლის ნოქრებისაგან, 31. წვრილ ვაჭართა ბიუროსაგან. 32. პალატისა და ხაზინის ქართ. მოხელეთაგან, 33. პოსტის ჯარი. ჩინოვნიკებისაგან 35. სათავად-აზნაუროს ბანკის მოსამსახურეებისაგან, 36. სათავად-აზნაურო მოწაფეთაგან და სტუდენტებისაგან, 37. ისე რაჭელისაგან, 38. თავად ჯამბაკურ-ორბელიანისაგან და მრავალი სხვები...

# რუსეთი

როგორც „XX ვეკ—ი“ გადმოგვცემს, ცნობილი თედო ძილაძე უნახავს ვარშავის სადგურზე ერთს თანამშრომელს „XX ვეკ“—ისას. და თან ჰქონია ერთი საინტერესო დოკუმენტი. აი ეს:

„მუშა ხაშურის სადგურისა თედო ივანესძე ძილაძე, დიდს დახმარებას აძლევდა ჯარს, დამალულ იარაღის პოვნაში მ მისივე სიტყვით, იმის ვეღარ შეუძლიან განაგრძოს მუშაობა სადგურ ხაშურში (მიხაილოვო), არ შეუძლიან იმიტომ, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი და მუშები სდევნიან მას და ემუქრებიან მოკვლით.

ხელს აწერს უფროსი დაცვის ნაწილისა. პოდპოლკოვნიკი ? 6 ივნისი 1906 წელი

## დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება. 105 სტატით დებულების ძალით ვბრძანებთ სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქმნას, და დაინიშნოს ახალი არჩევნები სათათბიროსი 20 თებერვალს 1907 წ. ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოვა ჩვენგნით განსაკუთრებული განმარტოება. უმართებულესი სენატი არ დასტოვებს აუსრულებლად ამ ბრძანებას. დედანზე საკუთარი ხელით მოწერილია! ,,**ნიკოლოოზ**‘‘.

**ბოძებულია** პეტერგოფში 8 ივნისი 1906 წელს.

ქალაქი პეტერბურგი და პეტერბურგის გუბერნია საგანგებო დაცვის წესებია გამოცხა დებული.

**პეტერბურგი.** ჩუხნინის მკვლელი დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია საომარ დროის წესები კიევის გუბერნიაში.

**პეტერბურგი.** მინისტრა საბჭოს თავმჯდომარე: გორემიკი, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი დინიშნულ იქმნა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

**პეტერბურგი.** „ბირჟევ. ვედომ.“ იუწყება, რომ ღამე 7 ივლისს პობედონოსცევის კაბინეთში საწერლო მაგიდის ქვეშ, იპოვეს მომზადებული ბომბა. ბოროტ მომქმედნი ვერ იპოვეს.

**სიმფეროპოლი.** ბულვარზე მოხდა მიტინგი. ხალხი შეეარდა ...ტრალურ ბაღში ხალხი ... დრაგუნებმა აღადგინეს წეს...

**ორიოლი.** ღამე ხალხი, ...გიდან დაბრუნების შემდეგ ... თოფის წამლის საწყობებს.

მოყვა სროლა ხალხს და ...თა შორის. ყარაულის მოს... შემდეგ, ხალხი გაიფანტა.

დაკეტილია გაზეთები „გოლოს ტრუდა“ და „მისლ“ ...მბები დაკეტილია. დაჭერილია ... თანამშრომელი.

**ვილნო.** ნოვო-გიორგის ... შეიკრიბა აუარებელი ხალხი. ... მოისთქვა სიტყვები. ... ახალგაზდობამ მოახდინა დემონს...რაცია. პოლიციასთან შეტაკება ... მოხდა.

**პეტერბურგი.** მთავარმმართ... მიწად მოქმედებისა სტიშინსკი ... თხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

კრასნოე სელოდან მოვიდენ ... დივიზიის პოლკები, საკავალ... საცხენო პოლკი, ესკადრონი ... გუნები, გუსარები, და ცხენოს... გრენადერები და საპულემეტო რო...

„გაზ. „მისლს“-ის თანამშრო...ლების დაჭერა გამოიწვია პოლი...ციის დადგენილებამ რომ დაჭერი... ცენტრალური კომიტეტი სოცია...ლისტ-რევოლიუციონურ პარტიის... დაჭერილია საყურადღებო ქალ... დები და დაჭერილი არიან კომი...ტეტის წევრები.

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

ტები ადგენდენ თავის მონუმენტალურ ენციკლეპედიას, ლაპლასი სწერდა თავის „ქვეყნის-სისტემას“ ჰოლბახი კი — „ბუნების სისტემას;“ ლავუაზიე გამოდიოდა ნივთიერების, და მაშასადამე, ენერგია — მოძრაობის მოუსპობლობით; ამავე დროს ლომონოსოვი სითბოს მექანიკურ თეორიას არკვევდა; ლამარკი ხსნიდა ახალ სახეების წარმოშობას ფიზიკურ ცვლილებათა დაგროვებით, წრე-მიდამოს მიხედვით. დიდრო იძლეოდა ზნეობის, ჩვეულებათა და რელიგიების ახსნას, ყოველგვარ ჩაგონებას გარედან მოკლებული; რუსსო ცდილობდა აეხსნა პოლიტიკურ დაწესებულებათა ჩასახვა ხელშეკრულობის (ურთიერთ შეთანხმების) გზით, ე. ი. ადამიანის ნებითი აქტით... ერთი სიტყვით, არ ყოფილა ისეთი დარგი, რომლის შემუშავება არ ეწყოთ მათ ნივთიერ მოვლენათა ნიადაგზე — იმავე ბუნებრივ — მეცნიერული მეთოდით.

რასაკვირველია, ამ გაბედულ ცდაში დაუშვეს მსხვილი შეცდომებიც. იქ, სადაც ცოდნა არ ჰყოფნიდათ, გ მოსთქომდენ ხანდიხან ძალიან გაბედულს, ხანკი სრულიად შემცდარ მოსაზრებას მაგრამ ახალი მეთოდი იხმარეს ცოდნის ყველა დარგებში, და, მისი წყალობით, ადვილათ აღმოაჩინეს და უჩვენეს შემდეგში თვით შეცდომები. ამით კი მეცხრამეტე საუკუნეს ეანდერძა კვლევა — ძიების იარაღი, რომელმაც შეძლება მოგვცა ჩვენ ავაშენოთ მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა მეცნიერულ საფუძვლებზე, განვათავისუფლოთ იგი როგორც ნაანდერძევ ცრუმორწმუნეობათაგან, ისე იმ მოვლენისაგან რომ გვჩვევია ჩვენ მოვიშოროთ თავიდან მეცნიერული კითხვები ბურუსში გახვეული სიტყვებით.

საფრანგეთ ს რევოლიუციის დამარცხების შემდეგ იწყება საყოველთაო რეაქცია: პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში.

რასაკვირველია, დიდი რევოლიუციის ძირითადი საფუძვლები არ დაღუპულან. რევოლიუციის მიერ გამოცხადებულმა გლეხთა და ქალაქელთა ბატონყმობისაგან განთავისუფლებამ, კანონის წინაშე ყველას თანასწორობამ და წარმომადგენლობითი (კონსტიტუციონურმა) მართველობამ ნელ-ნელა იწყეს გზის გაკაფვა ცხოვრებაში საფრანგეთში და მის გარეთაც. რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც გამოაცხადა თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის დიადი საფუძლები, დაიწყო ნელი ევოლიუცია, ე. ი. ნელ-ნელი გარდაქმნა, რომელსაც გაჰყავდა ცხოვრებასა და კანონებში აღნიშნული, მაგრამ რევოლიუციის მიერ ზოგ ნაწილათ განხორციელებული, საფუძველები. (წინა რევოლიუციის მიერ გამოცხადებული საფუძველების ასეთი განხორციელება ევოლიუციით შეგვიძლია კიდევაც მივიჩნიოთ საზოგადოებათა განვითარების კანონათ). თუმცაღა ეკლესიამ, სახელმწიფომ და მეცნიერებამაც კი გასთელეს და ტალახში ამოსვარეს ის დროშა, რომელზედაც რევოლიუციამ მოქარგა „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“, თუმცაღა არსებულ წესწყობილებასთან შერიგება დროებით შეიქმნა საყოველთაო ლოზუნგათ; მაგრამ თავისუფლების საფუძვლები მაინც კი გადიოდენ ცოტ-ცოტად ცხოვრება...ში. ბატონყმური ურთიერთობა..., რომელნიც მოსპეს რესპუბლიკე...ბის ჯარებმა იტალიაში და ესპანი...აში. მართალია, აღდგენილ იქნა, გაჩნდა ხელახლა ინკვიზიცია ..., მაგრამ მათ უკვე ჩასცენ მომაკვდ...ნებელი მახვილი და ისინიც დაღ...პენ. ბატონყმური უღლისაგან გან...მათავისუფლებელი ტალღები პირვე...ლათ სწვდა დასავლეთს და შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიასაც და მოე...დო ნახევარკუნძულებს; ის მიდიო...და ნელის ნაბიჯით აღმოსავლეთისა...კენ და მიაღწია რუსეთს 1861 წ., ბალკანეთის ნახევარ-კუნძულს კი 1878 წ. მონობა გაჰქრა ამერიკაში 1863 წელს. ამავე დროს ყველა მოქალაქეთა სასამართლოს წინაშე თანასწორობის და წარმომადგენლობითი მართველობის იდეები ტალღ...ბივით მოეფინა დასავლეთიდან აღ...მოსავლეთს და საუკუნის უკანასკ...ნელ ხანებში მხოლოთ ერთი ...რუსეთი დარჩა თვითმყრობელობა... (თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თვითმპყრობელობა უკვე დაღ...რული იყო) უღელს ქვეშ.

— ან— შინ.

(გაგრძელება).